ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/09

დაბა ქედა, **31 ივლისი, 2026 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:30 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 24 წევრიდან ესწრებოდა 21.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ნაზიმ ჩხეიძე - ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
რამაზ თავდგირიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარე;
მარინა ბარამიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ტაკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ გოგიაშვილი - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
არკადი საკანდელიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ზვიად არძენაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
დურმიშხან შავიშვილი - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
მურად დიასამიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
გივი ლორთქიფანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
რამაზ ალიქაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (იმყოფება შვებულებაში);
თენგიზ ყადიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯამბულ შარაბიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ნონა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
მუხრან სალაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/09 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

31 ივლისი, 2026 წელი

#	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის პირველი მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	რამაზ თავდგირიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მერაბ ტაკიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	ანზორ გოგიაშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	არკადი საკანდელიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ზვიად არძენაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	თენგიზ ყადიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
19	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	დურმიშხან შავიშვილი	საკრებულოს წევრი	
21	მურად დიასამიძე	საკრებულოს წევრი	
22	გივი ლორთქიფანიძე	საკრებულოს წევრი	
23	რამაზ ალიქაძე	საკრებულოს წევრი	
24	ჯამბულ შარაბიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 31 ივლისის №01-06/09 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. საინფორმაციო სისტემის მართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ეკა გოგუაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4.ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2025 წლის ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: შოთა ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5.ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის 2025 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის დირექტორი: ირინა დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იყო კიდევ ერთი საკითხი - „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი“, რაზედაც ითხოვა წარმოდგენილ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანილიყო ცვლილება აღნიშნული საკითხის დამატებით და წარმოადგინა №09 მორიგი სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. საინფორმაციო სისტემის მართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და
მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ეკა გოგუაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2025 წლის ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის
სამსახურის უფროსი: შოთა ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

6. ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის 2025 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის
დირექტორი: ირინა დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 31 ივლისის №01-06/09 მორიგი სხდომის განახლებული დღის წესრიგი პროექტი.

1.მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95262042, 23.07.2026 წელი.) და აღნიშნა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი არის ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა, აქედან გამომდინარე, ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

დანართის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საბჭოს თავმჯდომარეობს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ან მისი დავალებით – საბჭოს ერთ-ერთი წევრი."

დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 7-ზე ნაკლები. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს წევრები, საკრებულოს აპარატის წარმომადგენელი, მერიის (შემდგომში „მერია") სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები და მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე. საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში ასევე შეიძლება შედიოდნენ: კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სპეციალისტები."

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №დ-95.95262121; 31.07.2026 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა გულადი წითელაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95262112-95, 30.07.2026 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენდა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შეტანა შემდგომი განკარგვის მიზნით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 ივნისის №გ-95.95261774 განკარგულებით დამტკიცებულ მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი იყო 14 (თოთხმეტი) ერთეული ქონება. ამათგან, ორი ერთეული ქონება, ავტომანქანა „HONDA CR-V 2.4" სახელმწიფო ნომერი DH-971-HD (საპრივატიზაციო ნუსხაში №9) და მიკროავტობუსი „MERSEDES-BENC SPRINTER" სახელმწიფო ნომერი JJ-923-AA (საპრივატიზაციო ნუსხაში №11) ამოსაღებია ნუსხიდან, რადგან მოხდა მათი პრივატიზება ელექტრონულ აუქციონზე, საიდანაც ბიუჯეტში მიღებულია დამატებითი შემოსავალი - 37550 ლარის ოდენობით.

საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი სხვა შვიდი ერთეული ქონება ორჯერ იქნა გატანილი ელექტრონულ აუქციონზე, მაგრამ ორივე შემთხვევაში აუქციონი არ შედგა, რადგან მასში მონაწილეობა არ მიიღო არცერთმა პრეტენდენტმა. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია მოხდეს მათი საწყისი საპრივატიზაციო ღირებულების შემცირება. კერძოდ:

1. ავტომანქანა „HONDA CR-V 2.01" სახელმწიფო ნომერი CH-977-HC, რომელიც შეფასებულია 1 100 (ათას ასი) ლარად. მიზანშეწონილია გასაყიდი ღირებულება შემცირდეს 10 %-მდე, 100 ლარით;

2. ავტომანქანა "MITSUBISHI outlander" სახელმწიფო ნომერი XX-041-PX, შეფასებულია 5000 (ხუთი ათასი) ლარად. მიზანშეწონილია გასაყიდი ღირებულება შემცირდეს 40 %-მდე, 2000 ლარით;

3. ავტომანქანა - „MITSUBISHI L200" სახელმწიფო ნომერი HB-838-BH, შეფასებულია 18 000 (თვრამმეტი ათასი) ლარად. მიზანშეწონილია გასაყიდი ღირებულება შემცირდეს 25 %- ით, 4500 ლარით;

4. ავტომანქანა - „MITSUBISHI IO" სახელმწიფო ნომერი HB-923-HH შეფასებულია 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარად. მიზანშეწონილია გასაყიდი ღირებულება შემცირდეს 45 %-მდე, 2000 ლარით;

5. ავტომანქანა „FORD TRANSIT 2.4D" (მიკროავტობუსი) სახელმწიფო ნომრით HB-137-HH, შეფასებულია 9000 (ცხრა ათასი) ლარად. მიზანშეწონილია გასაყიდი ღირებულება შემცირდეს 50 %-მდე, 4400 ლარით;

6. ალუმინის მეორადი კარ-ფანჯრები აუქციონზე გატანილი იყო 25 %-იანი ფასდაკლებით, მაგრამ არ გაიყიდა, ამიტომ მიზანშეწონილია მისი ღირებულება შემცირდეს 35%-მდე 2675 ლარით და განისაზღვროს 5000 ლარით;

7. ავტომობილის ასასვლელი (სარემონტო) რამპა შეფასებულია 1150 (ათას ასორმოცდაათი) ლარად. მიზანშეწონილია გასაყიდი ღირებულება შემცირდეს 50 %- მდე, 550 ლარით.

მომხსენებელმა აქვე აღნიშნა, რომ ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში დამატებით შესატანია 1 (ერთი)

სახელმწიფო ნომერი GF-811-GG, გამოშვების წელი 1999 წელი, რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 15080 (თხუთმეტი ათას ოთხმოცი) ლარად.

აღნიშნულ ავტომობილს წლების განმავლობაში იყენებდა შპს „ქედის კომუნალურსერვისი", გარე განათების სისტემების მოვლა-შენახვის მიზნით. რომელიც დღეის მდგომარეობით უმოქმედოა, რადგან დაზიანებული აქვს ანთების სისტემა, მწყობრიდან გამოსულია სავალი ნაწილები და წყლის გაგრილების სისტემა. ვინაიდან აღნიშნული ავტომანქანა სიძველის გამო ხშირად საჭიროებს რემონტს და მისი მოვლა-შენახვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მიზანშეწონილია მოხდეს მისი გასხვისება ელექტრონულ აუქციონზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქედის მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხა ახლიდან ჩამოყალიბდა და ნუსხაში შეტანილი ქონების საერთო რაოდენობა განისაზღვრა 13 (ცამეტი) ერთეულით.

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად კი უნდა მოხდეს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 ივნისის №გ-95.95261774 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხა საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა შემდეგი სახით:

№	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენობა-ნაგებობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის საკადასტრო კოდი	გასაყიდი ქონების მოცულობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საწყისი (მთლიანი) გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.0	21.03.33.072			17430.00	
2	სასურსათო მაღაზია (პრიანიკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.0	21.01.37.007.01.500			18594.00	
3	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.0	21.05.33.026			6922.00	
4	ყოფილი რძის ქარხანა	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N36	ქედის მუნიციპალიტეტი	547.40	4163.0	21.03.35.005			106233.00	
5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა	ქედის მუნიციპალიტეტი		39.0	21.03.34.584			2574.00	
6	FORD TRANSIT 2.4D (მიკროავტობუსი) სახ. ნომრით HB137HH	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა (სპორტსკოლის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						4600.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 9000 ლარი შემცირდეს 50 %-მდე და განისაზღვროს 4600 ლარი.
7	ავტომობილის ასასვლელი (სარემონტო) რამპა	სოფელი ძენწმანი	ქედის მუნიციპალიტეტი						600.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 1150 ლარი შემცირდეს 50 %-მდე და განისაზღვროს 600,0 ლარი.
8	ალუმინის მეორადი კარ-ფანჯრები	სოფელი ცხემნა	ქედის მუნიციპალიტეტი				204.62 კვ.მ.	50.00	5000.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 7675 ლარი შემცირდეს 35 %-მდე და განისაზღვროს 5000,0 ლარი.
9	ავტომანქანა „HONDA CR-V 2.01" სახელმწიფო ნომერი CH-977-HC	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3(მერიის ეზო)	ქედისმუნიციპალიტეტი						1000.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 1100 ლარი შემცირდეს 10 %-ით და განისაზღვროს 1000,0 ლარი.
10	ავტომანქანა "MITSUBISHI outlander". სახელმწიფო ნომერი XX-041-PX	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						3000.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 5000 ლარი

										შემცირდეს 40 %-მდე და განისაზღვროს 3000,0 ლარი.
11	ავტომანქანა - MITSUBISHI L200. სახელმწიფო ნომერი HB-838-BH	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						13500.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 18000 ლარი შემცირდეს 25 %-ით და განისაზღვროს 13500,0 ლარი.
12	ავტომანქანა - MITSUBISHI IO. სახელმწიფო ნომერი HB-923-HH	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						2500.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 4500 ლარი შემცირდეს 45 %-მდე და განისაზღვროს 2500,0 ლარი.
13	ავტომანქანა - PEUGEOT EXPERT სახელმწიფო ნომერი GF-811-GG	სოფელი ძენწმანი	ქედის მუნიციპალიტეტი						15080.00	

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №g-95.95262125; 31.07.2026 წელი).

3. მოისმინეს: საინფორმაციო სისტემის მართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გენადი ანანიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საინფორმაციო სისტემის მართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95261911-95, 10.07.2026 წელი) და აქვე აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიღების მიზანი იყო ადგილობრივ დონეზე საინფორმაციო სისტემის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებისა და წესების განსაზღვრა, ხოლო საინფორმაციო სისტემის მიზანია სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, სისტემატიზაციისა და საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, „სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სისტემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №72 დადგენილების მე-2 მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა დაადგინოს აღნიშნული განკარგულების მიღებით საინფორმაციო სისტემის მართვის ინსტრუქცია ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №g-95.95262124; 27.03.2026 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ეკა გოგუაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95261971-95, 16.07.2026 წელი.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95262122; 31.07.2026 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2025 წლის ანგარიში.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა შოთა ბერიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2025 წლის ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95262021-95, 21.07.2026 წელი.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95262123; 31.07.2026 წელი).

6. მოისმინეს: ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის 2025 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ირინა დევაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის 2025 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი: №13/95262083-95, 27.07.2026 წელი.) და აღნიშნა, რომ „ქედის სახელოვნებო სკოლა უკვე 59 წელია წარმატებით ემსახურება ქედის მუნიციპალიტეტს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კულტურის ცენტრის პირველ სართულზე, სადაც განთავსებულია 9 სასწავლო კაბინეტი და სარეპეტიციო სივრცე. 2025 წლის განმავლობაში სკოლაში სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობასა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

2025 წლის განმავლობაში სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებდა შემდეგი სასწავლო მიმართულებები:

- საფორტეპიანო;
- საორკესტრო;
- ქორეოგრაფიული;
- გიტარის კლასი;
- ფანდურის კლასი;
- ვოკალური მიმართულება (ესტრადა);
- საგუნდო კლასი;
- დოლის კლასი;
- ანიმაციური ფილმების სტუდია.

2025 წლის მდგომარეობით სკოლაში სწავლობს 386 მოსწავლე, მათ შორის:

- საფორტეპიანო - 76 მოსწავლე;
- საორკესტრო - 22 მოსწავლე;
- ქორეოგრაფია - 162 (115 გოგო და 47 ბიჭი);
- გიტარა - 20;
- ფანდური - 35;
- საგუნდო მიმართულება -35;
- ვოკალური მიმართულება (ესტრადა) - 10;

- დოლი - 8;
- ანიმაციური ფილმების სტუდია - 8.

სკოლაში დასაქმებულია 7 ადმინისტრაციული თანამშრომელი და 17 პედაგოგი. თითოეული მათგანი საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი პროფესიული განათლების, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის საფუძველზე. პედაგოგიური კოლექტივი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვაზე, მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებასა და მათ აქტიურ ჩართულობაზე კულტურულ-საგანმანათლებლო და საშემსრულებლო საქმიანობაში. 2025 წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალურ, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში კონკურსებსა და კულტურულ ღონისძიებებში, სადაც ღირსეულად წარმოაჩინეს ქედის მუნიციპალიტეტი და აჭარის რეგიონი, მოიპოვეს არაერთი წარმატება და მნიშვნელოვანი აღიარება.

ქედის სახელოვნებო სკოლამ 2025 წლის განმავლობაში აქტიურად განახორციელა კულტურული, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიებები, მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებში, წარმოაჩინა მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობები და ხელი შეუწყო ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

2025 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

- საერთაშორისო ფესტივალი ,,ბორჯომი-ბაკურიანი 2025“ მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლი ,,საუნჯე“;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტი - აწყურის კულტურის ცენტრში გამართულ ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორის ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,საუნჯე-მ“ და მოიპოვა I ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება;
- თბილისში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში ,,მომავალი ჩვენია“ მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,ჩანგი“-მ;
- აჭარის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება, სადაც მოსწავლეებმა წარმოაჩინეს ქართული და აჭარული ფოლკლორის ნიმუშები;
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა;
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურული პროგრამები;
- საფორტეპიანო, გიტარისა და სხვა კლასების მოსწავლეთა საანგარიშო კონცერტები;
- კულტურულ საგანმანათლებლო პროექტის ,, არ დაივიწყო ქართული“ განხორციელება;
- ანიმაციის ვორქშოფის ორგანიზება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით;
- სახალხო დღესასწაულ ,,ქედელობა“-ში მონაწილეობის მიღება;
- ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ გალა-კონცერტში ,,ახალი თაობა“ მონაწილეობა;
- საახალწლო შემაჯამებელი კონცერტის ჩატარება .

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სახელოვნებო სკოლის შემოქმედებითი კოლექტივების წარმატებები- გრანპრები, ოქროს მედლები, საპრიზო ადგილები და საერთაშორისი გასტროლები თურქეთში, ბულგარეთსა და აზერბაიჯანში, რამაც კიდევ უფრო გაზარდა სკოლის ცნობადობა და წარმოაჩინა მოსწავლეთა მაღალი შემოქმედებითი შესაძლებლობები.

2025 წელი ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლისთვის წარმატებული, ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მიღწევებით გამორჩეული წელი იყო. წლის განმავლობაში სკოლა აქტიურად ახორციელებდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს, ზრუნავდა მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებაზე, მონაწილეობდა სხვადასხვა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში. სკოლის მოსწავლეებმა და შემოქმედებითმა კოლექტივებმა ღირსეულად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები, მოიპოვეს უამრავი წარმატებები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქედის მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებაში, ქართული ტრადიციებისა და ხელოვნების პოპულარიზაციაში“.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე არჩილ გორგილაძემ მომხსენებელს კითხვით მიმართა, ქედის სახელოვნებო სკოლაში ბავშვების მიღების მინიმალური ასაკი რამდენი იყო?

რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ქედის სახელოვნებო სკოლაში ექვსი წლის ასაკიდან შესაძლებელი იყო ბავშვების მიღება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95262121; 31.07.2026 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 18:30 საათზე საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში **ნონა ბერიძე**